პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 58 (3035)
24 მარტი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.
1966 წ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

ხუმარა არ ხუმრობს

ლონდონი, 23 მარტი. ოქროს ქალღმერთის გაუჩინარებიდან ორი დღეც არ იყო გასული, რომ ინგლისში მოხდა კიდევ ერთი „სპორტული ქურდობა". მაიორმა ჯ. სკილიციმ პოლიციას აცნობა, რომ მისი სახლიდან მოიტაცეს „ოქროს თასი", რომელიც მან 1963 წელს მოიპოვა ცხენოსანთა ერთ-ერთ შეჯიბრებაში. მართალია, თასი ოქროსი კი არა, ვერცხლისა იყო, მაგრამ საკმაოდ დიდად ფასობდა. თანაც, რაც მთავარია, თასთან ერთად გაქრა ძვირფასეულობა, რომელთა შორისაა 500 გირვანქა სტერლინგად ღირებული ბრილიანტი, და აკვამარინის გულის ქინძისთავი.

ოქროს ქალღმერთის ძებნა გრძელდება. მისი დაბრუნებისთვის დაწესებულმა ჯილდომ 3 ათასი გირვანქა სტერლინგიდან 5650 გირვანქას მიაღწია. ამ თანხიდან 1000 გირვანქა იკისრა ცნობილმა ინგლისელმა ხუმარამ ტ. ტრინდერმა. მან ეს სერიოზულად განაცხადა ღამის კლუბში, სადაც კონცერტებში გამოდის. რატომ ჩაიდინა მან ეს? პირველ ყოვლისა, ტრინდერი ფეხბურთის მხურვალე თაყვანისმცემელია და ინგლისის I ლიგის გუნდის „ფულჰემის" კლუბის თავმჯდომარე გახლავთ. მეორეც, — ტრინდერს კაცმა შეიძლება მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი „ორგანიზატორი" უწოდოს: მთელი წლის განმავლობაში იგი ამ უდიდესი ტურნირისადმი მიძღვნილ სიმღერებს იმღერებს. თანაც, ხუმარა მაინც არაფერს კარგავს — ქალღმერთი პორიზონტზე არ ჩანს...

ამასთან დაკავშირებით, ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია პასუხს ელოდება ფიფა-სგან ახალი თასის დამზადების თაობაზე, რომელიც მსოფლიო ჩემპიონებს უნდა გადაეცეთ. ინგლისური კომპანია „ჟოლდსმიტსი", რომელიც აგერ 8 საუკუნეა არსებობს, კისრულობს ასეთი თასის დამზადებას.

დაკარგული პრიზის ახლით შეცვლის თაობაზე ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ს. როუზმა თქვა: „თასი თუ არ იქნა, ჩვენ ვერ შევძლებთ მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებას. პრიზის დამზადების დეტალებს განვიხილავ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელებთან ერთად".

ს. როუზი დღეს ლონდონს დაბრუნდა ნიუ-იორკიდან. აეროდრომზევე მან განაცხადა: „ამერიკაში გამგზავრებასთან დაკავშირებით ბევრი სერიოზული საქმე მაქვს, მაგრამ, რასაკვირველია, ყველაზე მთავარია ოქროს ქალღმერთის გაუჩინარება".



ჭაბუკ წყალბურთელთა 9 კოლექტივი მონაწილეობდა მოსკოვის ახლახან დამთავრებულ პირველობაში. შეჯიბრება ჩატარდა სამ ასაკობრივ კატეგორიაში (12, 16 და 18 წლის ჭაბუკები).

სურათზე თქვენ ხედავთ გამარჯვებული გუნდების კაპიტნებს თავიანთ მწვრთნელთან გ. ხარებოვთან ერთად. მარცხნიდან — ა. სულაკაძე, ნ. მშვენიერაძე (ცნობილი წყალბურთელის პ. მშვენიერაძის ვაჟი), გ. ხარებოვი და გ. ციციშვილი.

ფოტო თ. მერკვილაძისა.

ერთი ქულის უპირატესობით

რიგა, 23 მარტი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). გუშინ აქ დაიწყო ხელბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. პირველი დღის შეხვედრები ასე დამთავრდა: **ქალები** — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — მოსკოვის „ლუჩი" (ყოფილი „ტრუდი") 14:14, „ბურევესტნიკი" (კრასნოიარსკი) — „სპარტაკი" (ბაქო) 8:8, „ბურევესტნიკი" (ჩერკასი) — „დაუგავა" (რიგა) 15:7; **ვაჟები** — „ბურევესტნიკი" (კრასნოდარი) — „ტრუდი" (ლენინგრადი) 19:22, „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „დაუგავა" (რიგა) 21:20, „კუნცევო" (მოსკოვი) — ქ. ტრასპოლი 25:15.

თბილისელთა კიდევ ერთი გამარჯვება

მოსკოვი, 23 მარტი. ცსკა-ს სპორტული დარბაზი დღეიდან კალათბურთელ ქალთა უძლიერესი გუნდების სარბიელი გახდა: დაიწყო დასკვნითი შეხვედრები, რომლებიც გამოავლენს წლევანდელ ჩემპიონს, ვიცე-ჩემპიონსა და „ბრინჯაოს" მფლობელს (დასკვნით ტურში 14 ქულით ჩაება რიგის ტტტ. 1 ქულით ნაკლები აქვთ ლატვიელთა უახლოეს მიტოქიებს — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალთბურთელებს).

პირველნი ჩაებნენ ასპარეზობაში კაუნასის „პოლიტექნიკა" და როსტოვის „ბურევესტნიკი". გაიმარჯვეს როსტოველებმა — 61:50.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „დინამო" (ნოვოსიბირსკი) 50:45, „დინამო" (კიევი) — ასკ (ლენინგრადი) 41:52, **„ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — სპი (თბილისი) 51:54**, „უნივერსიტეტი" (ტარტუ) — „დინამო" (მოსკოვი) 42:51, ტტტ — „ურალმაში" 64:61.



◆ **კოპენჰაგენი**, 23 მარტი. **1967 წლის საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირის პერსონალური ადგილისთვის გელერ — ლარსენის მატჩის VIII პარტია საბჭოთა დიდოსტატის გამარჯვებით დასრულდა. ამრიგად, მატჩის ანგარიშია 4:4. დიდოსტატებს მოუწევთ დამატებით კიდევ 2 პარტიის თამაში. თუ ამანაც ვერ გამოავლინა გამარჯვებული, მაშინ მატჩის ბედს კენჭისყრა გადაწყვეტს.**

◆ **ვილნიუსი**, 23 მარტი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, დიდოსტატმა ვ. შჩოგოლევმა (მოსკოვი) მოიხვეჭა პროფკავშირთა საკავშირო ჩემპიონის ოქროს მედალი ასურიან შაშში. II ადგილზეა მ. კორხოვი (ოდესა), ხოლო III — ვ. მერინი (რიგა).

◆ **მოსკოვი, 23 მარტი.** ცსკა-ს აუზში მიმდინარე სსრ კავშირისა და გდრ-ის მოცურავეთა მატჩში მსოფლიოსა და ევროპის რეკორდები დაამყარა ოლიმპიურმა ჩემპიონმა გ. პროზუმენშჩიკოვამ: 200 მ ბრასით მან გაცურა 2 წუთსა და 44,6 წამში და თავისივე წინანდელი რეკორდი 0,7 წამით გააუმჯობესა. 4×100 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გაიმარჯვა საბჭოთა გუნდმა, ხოლო ვ. მაზანოვმა თავისი ეტაპი ზურგზე 1 წუთში გაცურა, რაც ევროპის ახალი რეკორდია. 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით ვაჟთა ესტაფეტაში დამყარებულ იქნა ახალი საკავშირო რეკორდი — 8.11,1.

◆ **ადელაიდა**, 23 მარტი. სიდნეისა და მელბურნში ასპარეზობის შემდეგ საბჭოთა მძღოლებმა მესამე შეხვედრა აქ გამართეს. წინა ორი მატჩის გმირი, საბჭოთა მძღოლსანი ლ. ბარკოვსკი ტრავმის გამო ახლა სახტომ სექტორზე ვერ გამოვიდა. საბჭოთა სპორტსმენთაგან ამჯერად საუკეთესო იყო ვ. მიხაილოვი: 800 მეტრზე რბენაში მან II ადგილი დაიკავა — 1.50,7. გაიმარჯვა მასპინძელმა კ. ვუდსმა — 1.48,3. სიმაღლეზე ხტომაში ყველას აჯობა ლ. პიკჰემმა (ავსტრალია) — 209 სმ. ვ. ბოლშოვი III იყო (204 სმ). საინტერესოდ ჩატარდა 2 მილზე რბენა. 4 წრის შემდეგ ლიდერობდა მსოფლიო რეკორდსმენი რ. კლარკი. ფინიშის სწორზე მას გაუსწრო ამერიკელმა ჯ. გრელემ — 8.34,0. კლარკი გამარჯვებულს 0,5 წამით ჩამორჩა. ორჯერ გაიმარჯვა ამ დღეს გრელეს თანამემამულემ რ. ფლაუერსმა — 110 და 200 მეტრზე თარჯრბენში (შესაბამისად, 14,0 და 23,6).

◆ **ტამპერი**, 23 მარტი. კვლავ წარმატებით გამოდიან საბჭოთა მოთპილამურე ქალები ფინეთში. აქ გამართულ 6-კილომეტრიან რბოლაში I ადგილი დაიკავა ა. კოლჩინამ (20.37,0), ხოლო II — ზ. გუსაკოვამ (21.28,0). 10 კილომეტრზე ვაჟთა რბენაში ი. უტრობინი III ადგილზე გავიდა — 31.29,0. მან უკან ჩამოიტოვა ოსლოს გმირები — მსოფლიო ჩემპიონები. ფინელი ე. მიანტიურანტა (IV ადგილი, 31.30,0) და ნორვეგიელი ე. ეგენი (V, 31.35,0). ბ. გიზატულინი IX იყო — 32.04,0.

◆ **პარიზი**, 23 მარტი. აქ ტრიუმფალური წარმატებით მიმდინარეობს საბჭოთა ფიგურისტების ლ. ბელოუსოვასა და ო. პროტოპოპოვის საჩვენებელი გამოსვლები. მსოფლიო ჩემპიონების ვარჯიშმა ბულონ-ბიანიანურის სტადიონის საციგურაოზე მაყურებელთა წარმოუდგენელი აღტაცება გამოიწვია.

◆ **მარ-დელ-კლატა**, 23 მარტი. იშვიათი დრამატიზმით აღსავსე სიტუაცია შეიქმნა აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის VIII ტურში. სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. შტეინი ისე გაიტაცა ივრიშმა მეტოქის მეფეზე, რომ ეშფოტის ქვეშ დაყენნა თავისი... ლაზიერი. მაგრამ მისი მოწინააღმდეგე, არგენტინელი ჯ. ემი ისე იყო თავდაცვით გართული, რომ შტეინის „ძღვენი" შეუმჩნეველი დარჩა. პარტია ყაიმით დამთავრდა. ტურნირის პირველი ნახევრის შემდეგ კვლავ წინაა უნგრელი ლ. პორტიში — 6,5 ქულა. ვ. სმისლოვს 5,5 ქულა აქვს, არგენტინელ ხ. ბოლბოჩანს — 5, შტეინს — 4,5.

◆ **ლოზანა, 23 მარტი.** მარცხით დაიწყო ტურნე შვეიცარიაში მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდმა: მან წაგო ადგილობრივ „ლოზანა-სპორტთან" — 3:4. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, მაგრამ შესვენებამდე შჩერბაკოვმა 2 გოლი გაიტანა. ეს წარმატება 48-ე წუთზე გამარჯვა ბატანოვმა — 3:1. მაგრამ მასპინძლებმა ძლიერი შეტევა განაგრძეს და ჯერ ანგარიში გაქვითეს, ხოლო 88-ე წუთზე გამარჯვების გოლიც გაიტანეს.

◆ **მოსკოვი, 23 მარტი.** ფრენბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამოსა" და სოფიის „ლევსკის" ქალთა გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0.

◆ **ზაბრეგი**, 23 მარტი. **აქ პირველი მატჩი გამართა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა. იგი შეხვდა ადგილობრივ „დინამოს". ანგარიშია 2:2. საბჭოთა ფეხბურთელთაგან ბურთები გაიტანეს საბომ და კოპაევმა (ბოლო წუთზე).**

კომბინაცია ამშვენებს ბრძოლას

საქართველოს ჩემპიონატი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ VI ტურში ყველაზე კარგი იყო ლომაია — გიორგაძის შეხვედრა. პარტიის კრიტიკულ მომენტში სსრ კავშირის სტუდენტთა ჩემპიონმა გიორგაძემ მოსდენილად შეწირა ფიგურა მეტოქეს და მტკიცედ დაეუფლა ინიციატივას. ლომაზი გამოდგა შეხვედრის ფინალი: ეტლის შეწირვით გიორგაძემ დააშამათა ლომაიას მეფე.

ჩხაიძემაც ფიგურა შეწირა გურგენიძეს, მაგრამ მხოლოდ მოჩვენებითი უპირატესობა მიიღო. სპპატიო ოსტატმა შესანიშნავად უვნებელყო მუქარები და თავად გადავიდა იერიშზე იგი ჯერ პაიკის, ხოლო შემდეგ ფიგურის „დათმობით" მიწვდა ჩხაიძის მეფეს და გამარჯვებას მიაღწია.

შეცდომა, რომელიც ჯინჯიხაშვილმა დაუშვა ბუსლაევთან, ყოვლად უპატიებელია. მას შეეძლო პარტიის გადადება, ვინაიდან ამოწურული იყო თამაშისთვის განკუთვნილი 5 საათი, მაგრამ გააკეთა სვლა, მყისვე წააგო ლაზიერი და, ცხადია, პარტიაც.

რაზოვსკიმ მოუგო თოხაძეს, ჩაგუნავამ — მუკნიაშვილს.

4 პარტია გადაიდო. უბილავას მცირე უპირატესობა აქვს დავითაშვილთან. 4 ეტლის ენდშპილში არის შეწყვეტილი ჩეჩელიან — ჩიქოვანის პარტია. საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი კერნოკიცი — ბოკუჩავას დაუმთავრებელ შეხვედრაში. მწვავე, მაგრამ ალექსანდრიასთვის უფრო პერსპექტიულ პოზიციაშია შეწყვეტილი მისი პარტია გვენცაძესთან.

6 ტურის შემდეგ ბ. გურგენიძეს 6 ქულა აქვს, თ. გიორგაძეს — 5,5, ა. ბუსლაევს — 5.

ვეტერანის პრიზზე

კიდევ ერთი 0:0

თბილისი. „ბურევესტნიკის" სტადიონი. 23 მარტი.

„მეშახტე" (ტყიბული)—„დილა" (გორი) 0:0.

„მეშახტე": გრძელიძე, ჩხენკელი, ბზიკაძე, ნაზაროვი, ჩიტაია, ვანაჩა, ალრესიანი, ფირცხალავა, ლეუავა, ავალიანი, მელიქიძე.

„დილა": მერაბიშვილი, კობიძე, გაბელაია, ბეგიჩკორი, დარბაიძე, ხიზანიშვილი, ჰუსაინოვი, თოფურია, ტყეშელაძე, ბურჯანაძე, რევაზიშვილი.

მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

ᲐᲛᲠᲘᲖᲐᲓ, შ. შავგულიძის პრიზის გათამაშებას შეემატა კიდევ ერთი ნულიანი ფრე.

გუშინდელ შეხვედრაში ორივე გუნდმა თამაშის მეტი წილი მინდვრის შუაგულში გაატარა, ამასთან, დაცვითი ხაზების უპირატესობა ფორვარდებზე აშკარად შესამჩნევი იყო. ერთადერთი ნამდვილი საგოლე მომენტი მხოლოდ მატჩის დასასრულს შექმნა „მეშახტემ" მეტოქის კართან, მაგრამ მერაბიშვილმა შეძლო მეტად ძნელი ბურთის აღება.

ქვეჯგუფში გამარჯვება წილად ხვდათ ტყიბულელ ფეხბურთელებს, რომლებიც ფინალში ითამაშებენ საერთო I ადგილისთვის.

გათამაშების ცხრილები

I ᲥᲕᲔᲯᲒᲣᲤᲘ

საბოლოო მდგომარეობა

	თ.	ᲗᲐᲛ.	ᲤᲐᲛ.	ᲬᲐᲒ.	Ბ.	Ქ.
„მეშახტე" ტყიბული	2	1	1	0	2	0 3
„კოლხიდა" ფოთი	2	1	0	1	1	2 2
„დილა" გორი	2	0	1	1	0	1 1

II ᲥᲕᲔᲯᲒᲣᲤᲘ

მდგომარეობა ბოლო ტურის წინ

„დინამო" სოხუმი	2	1	1	0	1	0 3
„ალაზანი" გურჯაანი	2	1	1	0	1	0 3
„მეტალურგი" რუსთავი	2	0	1	1	0	1 1
„ენგური" ზუგდიდი	2	0	1	1	0	1 1

ᲥᲐᲠᲚᲘ ᲥᲐᲒᲔᲗᲘ

● ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 22 მარტი. ევროპისა და სსრ კავშირის რეკორდით აღინიშნა ცსკა-ს აუზში საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის მოცურავეთა მატჩი. 19 წლის ვ. მაზანოვმა (მოსკოვი) 200 მეტრი ზურგზე გაცურა 2 წუთსა და 11,8 წამში და თავისივე შარშანდელი რეკორდი 0,6 წამით გააუმჯობესა. რამდენიმე ხნის შემდეგ მაზანოვმა კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა, ამჯერად, საკავშირო. თავისუფალი სტილით 4×100 მეტრზე ცურვაში იგი პირველ ეტაპზე გამოდიოდა და აჩვენა 53,8. გუნდმა კი ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა — 3.37,0. სსრ კავშირის რეკორდი გაუმჯობესდა 400 მეტრზე ქალთა კომპლექსურ ცურვაში. მისი ავტორია 18 წლის ლ. ხაზიევა (ხარკოვი) — 5.32,7. ეს შედეგი ს. ბაბანინას წინანდელ რეკორდზე 3,2 წამით უმჯობესია. შეჯიბრება გრძელდება.

● ᲡᲐᲠᲐᲯᲔᲕᲝ, 22 მარტი. 7 ქვეყნის 16 მოჭადრაკის მონაწილეობით აქ დაიწყო საერთაშორისო ტურნირი. I ტურში მ. ტალმა დაამარცხა იუგოსლავიელი მ. დამიანოვიჩი.

უპირველესი საზრუნავი

სტუდენტთა V საკავშირო საზაფხულო სპორტული თამაშები, რომელიც სპორტის ოც სახეობაში ჩატარდება წლეულს მინსკში, საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავს ეძღვნება.

ეს თამაშები წინა ასპარეზობებისაგან პრინციპულად განსხვავდება. ფინალურ შეჯიბრებებში უმაღლესი სასწავლებლების საკლუბო გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ფრენბურთში, კალათბურთში, ხელბურთში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და წყალბურთში.

შეჯიბრებები ცურვაში, სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, ფარიკაობაში, ველოსპორტში (გზატკეცილსა და ტრეკზე), ძალოსნობაში, აკრობატიკაში, ტყვიით სროლასა და კრივში ჩატარდება როგორც „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ღია ჩემპიონატები და მასში მონაწილეობას მიიღებენ უძლიერესი სტუდენტი სპორტსმენები, ისინი, რომლებმაც 1965-66 წლებში სპორტის ოსტატის ან კანდიდატის საკლასიფიკაციო ნორმების შედეგები აჩვენეს.

ამასთან დაკავშირებით, ცენტრალურმა სპორტკავშირმა, პირველად საბჭოთა სპორტის ისტორიაში, გადაწყვიტა ამ თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობები სპორტის სახეობათა მიხედვით საკავშირო პირველობებს გაუთანაბროს და ყოველნაირად შეუწყოს ხელი მათ მაღალ ორგანიზაციულ-ტექნიკურ დონეზე ჩატარებას.

საინტერესოა, რომ ადგილების განსაზღვრა მოხდება ოლიმპიური თამაშების არაოფიციალური ჩათვლის წესით როგორც გუნდურ, ასევე პირად შეჯიბრებებში მოპოვებული პირველი ადგილებისთვის დელეგაციებს ღირიცხებათ 7, მეორესთვის — 5, მესამესთვის — 4 ქულა და ა. შ.

ვასაგებია, რომ სტუდენტთა წლევანდელი საკავშირო სპორტული თამაშები სსრ კავშირის ხალხთა საუბილეო სპარტაკიადისთვის მოკავშირე რესპუბლიკების სპორტული ძალების შშადყოფნის სერიოზული შემოწმება იქნება.

როგორი შედეგებით ხვდება საქართველოს სტუდენტთა სპორტული საზოგადოება ამ დიდ ღონისძიებას?

სტუდენტთა IV საკავშირო თამაშების შემდეგ ორ წელიწადში ჩვენს რესპუბლიკაში სტუდენტ ფიზკულტურელთა რაოდენობა 17,7 პროცენტით გაიზარდა, 1964-65 წლებში მომზადდა 143 სპორტის ოსტატი და 1.122 პირველთანრიგოსანი, რაც 38 პროცენტით აღემატება 1962-63 წლების მაღალთანრიგოსან სპორტსმენთა რაოდენობას.

კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა შარშანდელი წელი „ბურევესტნიკის“ საქართველოს საბჭომ. სტუდენტმა სპორტსმენებმა პროფსაბჭოს რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მოიპოვეს 17 პირველი, 9 მეორე, 2 მესამე ადგილი და კომპლექსურ ჩათვლაში საერთო პირველობა დაისაკუთრეს. „ბურევესტნიკის“ საქართველოს საბჭო აღმოჩნდა სტუდენტთა ერთადერთი ორგანიზაცია, რომელმაც I ადგილი დაიკავა მოკავშირე რესპუბლიკათა პროფსაბჭოების სპარტაკიადაში.

პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადაში სტუდენტმა სპორტსმენებმა მოიპოვეს ოქროს 9, ვერცხლის 14, ბრინჯაოს 23 მედალი, რაც ქართველი სპორტსმენების მიერ ამავე სპარტაკიადაში მოპოვებული მედლების ორმესამედზე მეტს შეადგენს და „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ხაზით, უკრაინისა და მოსკოვის სტუდენტების შემდეგ IIII ადგილზე გავიდნენ. ამოოდად, „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ გაცილებით მეტი ქულა მისცა საქართველოს პროფსაბჭოს სპორტულ დელეგაციას, ვიდრე რსფსრ-ს, ბელორუსიის, ლენინგრადისა და სხვა სტუდენტთა ორგანიზაციებმა შესაბამისი პროფსაბჭოების დელეგაციებს.

პირველად კალათბურთის ისტორიაში, საქართველოს სტუდენტმა კალათბურთელმა ქალებმა II ადგილი დაიკავეს შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში. ვერცხლის მედლები მოიპოვეს, აგრეთვე, ხელბურთელმა ვაჟებმა. „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ თავისუფალი სტილის მოჭიდაველები და ჭიდაობა სამბოს გუნდი, ხელბურთელები და კალათბურთელები, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფეხბურთელები და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტანმოვარჯიშეები.

ამგვარი სასიამოვნო ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს...

მიღწევებთან ერთად არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სტუდენტი სპორტსმენები დაბალ შედეგებს აჩვენებენ ცურვაში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ველოსპორტში, მძლეოსნობაში, ძალოსნობაში. ფიზიკური აღზრდის კათედრებმა, სპორტულმა კლუბებმა და „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს სასწავლო-სპორტულმა განყოფილებამ გადაჭრით უნდა გაუმჯობესონ სასწავლო-სპორტული მუშაობა ამ სახეობებში.

ამჟამად, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გაცნობიერებული მშადება მიმდინარეობს რესპუბლიკის სტუდენტთა V საზაფხულო სპორტული თამაშებისათვის. მისი დებულება ინარჩუნებს რსფსრ-ის უმაღლესი სასწავლებლების სამ ჯგუფად დაყოფის პრინციპს. პირველ ჯგუფში შემავალი ნაკრები გუნდები შეჯიბრებებში მონაწილეობას მიიღებენ სპორტის 20, მეორე ჯგუფისა — 12, ხოლო მესამისა — 8 სახეობაში.

ვინაიდან შეჯიბრებებში დაიშვებიან მხოლოდ ისინი, რომელთა კვალიფიკაცია I თანრიგზე დაბალი არ უნდა იყოს, მეორე და მესამე ჯგუფებში შემავალი უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბებს უფლება ეძლევათ თამაშების დებულებით გათვალისწინებული 20 სახეობიდან შეარჩიონ ისეთი 12 (II ჯგუფში) და 8 (მესამეში) სახეობა, რომლებშიც შეძლებენ გუნდების დაკომპლექტებას მაღალი თანრიგის სპორტსმენებით. იმ მიზნით, რომ დააინტერესონ და ამ შეჯიბრებაში მიიზიდონ სხვა სპორტსაზოგადოებებში შემავალი სტუდენტები, პირადი შეჯიბრებები სპორტის სახეობათა მიხედვით ჩატარდება როგორც „ბურევესტნიკის“ საქართველოს საბჭოს ღია პირველობები, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებს ამ სპორტსმენების მიერ დაკავებული საპრიზო ადგილებისათვის საერთო გუნდურ ჩათვლაში დაუწერებათ დამატებითი ქულები.

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის კათედრებისა და სპორტკლუბების გადაუდებელი ამოცანაა სტუდენტთა თამაშებში გამოიყენონ კარგად მომზადებული გუნდები და ცალეული სპორტსმენები.

გ. ჰილაია,

„ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

დიდი ადამიანი

ბიორგი ნიკოლაძის სახელი კარგადაა ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის. ამ სიცოცხლით სავსე, დიდად ნიჭიერმა ადამიანმა და მრავალმხრივმა მოღვაწემ მნიშვნელოვანი ამაგი დასდო ჩვენს რესპუბლიკაში მეცნიერების, ტექნიკის, სპორტის განვითარებას, როგორც მათემატიკოსმა, ინჟინერმა, ენათმეცნიერმა, სპორტსმენმა.

ნიკოლაძე იყო იმ ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი და სულისჩამდგმელი, რომელმაც დასაბამი მისცა საბჭოთა ალპინიზმს. აღსანიშნავია, რომ შესანიშნავმა ტანმოვარჯიშემ, მან ჯერ კიდევ სტუდენტობისას შეადგინა პირველი ქართული ტანვარჯიშული ტერმინოლოგია. სწორედ გ. ნიკოლაძეს ეკუთვნის, მაგალითად, ტერმინები „ტანვარჯიში“, „მთამსვლელი“ და ბევრი სხვა.

ამ სტრიქონების ავტორი დიდადაა დავალებული გ. ნიკოლაძისაგან. მეამაყება, „რომ ბევრჯერ მთამსვლელურ ექსპედიციებში ვახლდი, მეამაყება ისიც, რომ მისი სტუდენტიც ვიყავი და ხშირად ვყოფილვარ ამ შესანიშნავი ადამიანის დიდი გულისხმიერების, ნიჭიერებისა და საოცარი, გადამდები ენთუზიაზმის მოწმე.

იგი 35 წლის წინათ გარდაიცვალა 43 წლის ასაკში და რომ ეს მოულოდნელი უბედურება არა, ვინ იცის, კიდევ რამდენ შესანიშნავ ფურცელს ჩაწერდა ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერული აზროვნებისა და სპორტის მატიანეში.

მარო ტყავაძე.

სურათზე: გ. ნიკოლაძე და მ. ტყავაძე.

4 ჩემპიონი და 1 ოსტატის ფედეგი

ბუშინწინ ავჭალის სასროლეთის ოთხ სასანგრეში ერთდროულად ქუხდნენ პისტოლეტები და შაშხანები და დღის ბოლოს საქართველოს კიდევ 4 ჩემპიონი გამოვლინდა.

მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე (30+30) სროლაში ჭალები მცირეკალიბრიანი პისტოლეტით ასპარეზობდნენ. სპორტის ოსტატ ვ. ტიმოფეევას (თბილისის ასკ) პირველობისთვის ებრძოდა 2 დოსაფელი — სპორტის ოსტატი რ. პროზოროვა და ოსტატობის კანდიდატი მ. ლეონერია. თანაგუნდელები მონდომებით ისროდნენ, მაგრამ ვერც ერთი ვერ დაეწია ტიმოფეევას, რომელიც სტარტიდანვე დაწინაურდა და გამარჯვებაც დაისაკუთრა—560 ქულა (276+284). დოსაფელები მას 10-10 ქულით ჩამორჩნენ და ერთნაირი მაჩვენებლებით (550 ქულა თვითეულს) დაიკავეს: პროზოროვამ II, ხოლო ლეონერიამ III ადგილი.

ამ სახეობის გუნდურ ჩათვლაში უპირატესობა დარჩა ასკ-ს — 1581. დოსაფმა მოაგროვა 1549 ქულა, „დინამომ“ —1485.

ვაჟებმა და იუნიორებმა ეს ვარჯიში მსმენელიკალიბრიანი რეგოლვერით შეასრულეს. მრგვალ სამიზნეებზე სროლაში ვაჟთა შორის იმარჯვა სპორტის ოსტატმა დ. ფილიეევმა (თბილისის „დინამო“) — 280 ქულა. მისმა უახლოესმა მეტოქემ, სპორტის ოსტატმა ო. კვირიკაშვილმა (თბილისის დოსაფი) 4 ქულით ნაკლები მოაგროვა. კვირიკაშვილმა სილუეტებზე სროლის დროს აიღო რვეულში — 292 ქულა (ფილიეევმა — 291). მაგრამ ეს შედეგი საერთო ჯამში გამარჯვებისთვის კვირიკაშვილს არ ეყო და იგი II ადგილით დაკმაყოფილდა — 568. ფილიეევმა მოაგროვა 471 ქულა. III ადგილზეა სპორტის ოსტატი შ. გუჯარელიძე (თბილისის დოსაფი) — 559 (272+287). ამ ორი საპრიზო ადგილის მიუხედავად, დოსააფელებმა გუნდურ ჩათვლაში 2142 ქულით III ადგილი დაიკავეს, ვინაიდან გუნდის სხვა ორი წევრი ტურნირისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. ჯამარჯვა „დინამომ“ — 2186 ქულა, II იყო ასკ, — 2155.

ჭაბუკებში I ადგილი დაისაკუთრა ოსტატობის კანდიდატმა ლ. ვიშნევსკიმ (თბილისის „დინამო“) — 559.

პირველ დღესთან შედარებით შედეგები უფრო მაღალი იყო, მაგრამ ისინი მაინც ვერ გვაკმაყოფილებს, ვინაიდან სპორტის ოსტატის ნორმა მხოლოდ ერთმა შეასრულა: დინამოელმა სპორტის ოსტატმა გ. ბექთაშვილმა, რომელმაც „ვაქსწულ ირემზე“ 50 ერთმაგი გასროლით 219 ქულა დააგროვა. ამ ვარჯიშში II ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატმა თ. ლეკიშვილმა (თბილისის დოსაფი) — 212, III — გ. თავდიდიშვილმა (თბილისის „დინამო“) — 209.

ვაჟთა და ქალთა ამდღეანდელი ტურნირის ყველა სხვა პრიზიორები I თანრიგის მაჩვენებლებით დაკმაყოფილდნენ, იუნიორები კი ხშირად ამასაც ვერ ახერხებდნენ.

დინამოელებმა მოიგეს „ირემზე“ სროლის გუნდური ჩათვლაც — 822 ქულა. დოსაფი გამარჯვებულს 10 ქულით ჩამორჩა, III ადგილზე გავიდნენ არმიელი მსროლელები — 788.

მართლაც, რომ მარათონული მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლა. აქ 6-საათიანი რეგლამენტი დაწესებული და ვისაც იგი არ ეყოფა, მეექვსეკუთად კარგავს „ჯამათის“ უფლებას. ამ სახეობაში იმარჯვეს სოხუმის დინამოელებმა, სპორტის ოსტატმა ა. სტეროვმა — 1174 ქულა (363+374+357), ლ. ოსტრიკოვმა — 1107 (387+368+352) და გ. ფუდუმაურმა — 1100 (362+370+348). რომლებმაც ასეთივე თანმიმდევრობით დაისაკუთრეს საპრიზო ადგილები.

გუნდური პირველობა „დინამომ“ მოიპოვა — 4377.

ამ ვარჯიშში ჭაბუკთა ტურნირი მოიგო ა. მარუშიანმა (თბილისის „დინამო“) — 1095 ქულა.

ასპარეზობა გრძელდება.

ა. ბაკრაძე,

საქართველოს სპორტკავშირის მთავარი მწვრთნელი ტყვიით სროლაში.

აჭედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საუბილეო სპარტაკიადისთვის

ვადამდე

ბორჯომის განათლების განყოფილების სკოლების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა პირველივე კვარტალში დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მაღალთანრიგოსანთა მომზადების წლიური გეგმა. რიონის სკოლებში წლეულს უნდა აღზრდილიყო 2 პირველთანრიგოსანი, მაგრამ უკვე მომზადდა 3 ოსტატობის კანდიდატი და 5 პირველთანრიგოსანი. ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულეს ბაკურიანის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა: მერვეკლასელებმა ე. ბავაძ, მ. თვაურმა და მეთერთმეტეკლასელმა ი. ნასყიდაშვილმა.

ბორჯომის სპორტული სკოლის ფიზკულტურული კოლექტივი ამ წარმატებას უძღვნის XXIII ყრილობას.

გ. ფილიეევი,

ბორჯომის სპორტსკოლის დირექტორი.

● **მატჩს საფრთხე ემუქრება**

ამერიკის პრესამ განაცხადა, რომ მატჩს პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდებაზე, რომელიც 29 მარტს ტოდეს სატელევიზიო ფირმებმა და კინოკომპანიებმაც. ერთი სიტყვით, ყველაფერი მოგვარებული ჩანდა. ყალბი გამოდგა ცნობები იმის შესახებაც, რომ კლეის, რომელსაც ადრე „გონებრივი მონაცემებით ჯარში სამსახურისთვის

ყოველი

რონტოში უნდა ჩატარებულიყო, ამჟამად ჩაშლის საფრთხე ემუქრება. რა მოხდა? მსოფლიოს ახლანდელმა ჩემპიონმა კასიუს კლეიმაც და მისმა მეტოქემ, აგრეთვე ამერიკელმა ერნი ტერელმა ხომ დიდი ხანია მოილაპარაკეს, რომელი რა თანხას მიიღებდა მატჩში მონაწილეობისთვის. ბრძოლის დემონსტრაციისა და შემოსავლის განაწილებაზე შეთანხმისი ხელშეკრულება დაუვარგისად“ თვლიდნენ, მაინც უპირველენ ამერიკის არმიაში გაწვევას.

მაგრამ, როცა კლეის გაწვევის საკითხს იხილავდნენ, იგი, როგორც ადრე ვიუწყებოდით, განცხადებით გამოვიდა და გულახდილად აღიარა, რომ სრულიადაც არ სურს აშშ-ის მიერ ვიეტნამში გაჩაღებულ ბინძურ ომში მონაწილეობა და არ უნდა „ჯუნგლებში საკუთარი საკვდილით გააკეთოს ბიზნესი“. ამ განცხადებამ ნამდვილი აღშფოთების ქარიშხალი გამოიწვია აშშ-ის ყველა რეაქციულ ორგანიზაციაში. ყბადაღებულმა „ვეტერანთა კავშირმა“, რომელსაც ფაშისტები და კუკლუქსკლანელები უწევენ კონტროლს, იჩქარეს კლეის შეწყნარება და თავის ოფიციალურ პროკლამაციაში მას „სამშობლოს მოღალატე“ უწოდეს.

კლეის ამბოხამდე ამშ-ის ორას ოთხმოცმა კინოთეატრმა, რომლებიც ეკრანზე აპირებდნენ მატჩის გაშვებას, მის ორგანიზატორებთან უდიდესი სიამოვნებით დადო კონტრაქტი. ახლა, ულტრას გაგვენით, ასეე მეტმა კინოთეატრის მფლობელმა ხასწრაფოდ გააუქმა ხელშეკრულება. „ვეტერანთა კავშირმა“ და სხვა რეაქციულმა ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ თუ მატჩი მაინც შედგება, ისინი ტორონტოში კლეის წინააღმდეგ დემონსტრაციას გამართავენ.

შეხვედრის ორგანიზატორები შეყოყმანდნენ. ერთი სიტყვით, ფართოდ რეკლამირებულ მატჩს ჩაშლა ემუქრება.

● **არა იყო გვარი მისი...**

ინსბრუკის 1964 წლის ოლიმპიადის ჩემპიონმა, დასავლეთგერმანელმა ფიგურისტმა მანფრედ მიულერფერმა ეურნალისტებს გამარჯვებისთანავე განუცხადა:

„ოლიმპიადის ოქროს მედალი ჩემთვის მხოლოდ მოელვარე, მოოქროული ტრამპლინია, საიდანაც ადვილად ვისკუპებ ჩემი კარიერის გზაზე. ოქროს პატარა ოლიმპიური მონეტა გზას გამიკვლევს ოქროს ნამდვილი მონეტების ქვეშრობებისკენ. ამიტომ თავს ვანებებ სამყაროულო სპორტს და მთელ ჩემს ძალებს ბიზნესს მოვახმარ“.

მნელდორფერი არც პირველია, არც უკანასკნელი. იგი ცნობილი დასავლეთგერმანელი მორბენლის არმინ ჰარის კვალზე წავიდა. ჰარიმ ერთ-ერთ უდიდეს დასავლეთგერმანულ კინოფირმას შესთავაზა სანახაურო და კინომსახიობობა დაიწყო. მნელდორფერიც ასევე მოიქცა. გფრ-ის ცნობილმა პროდიუსერმა ჰ. ვალდბრიუკმა იფიქრა, რომ ოლიმპიური ჩემპიონის საბელი კარგი რეკლამა იქნებოდა ფილმისთვის და ფიგურისტთან ხელშეკრულება დადო.

კინოტატიკის დადება ადვილი იყო, მისი დამუშავება კი გაცილებით ძნელი აღმოჩნდა. უკვე პირველმა შემოწმებებმა ცხადყო, რომ მნელდორფერი კინემატოგრაფიის თვალსაზრისით აბსოლუტურად უნიჭოა. რეჟისორის თქმით, კაცი, რომელიც ყინულზე ნამდვილ გენიაა, ეკრანზე სრულყოფილ ლენჩია.

მაგრამ ფირმას არ სურდა ხელი აეღო თავის იდეაზე, რეჟისორები მოიმზადებენ, მუშაობდნენ უნიჭო მოწაფესთან. მაგრამ თვით მნელდორფერი მიხვდა, რომ კინოში კარიერას ვერ გააკეთებდა და ფილმში მონაწილეობაზე უარი თქვა.

ამჟამად ფირმამ ყოფილი ფიგურისტის წინააღმდეგ სასამართლოში აღძრა საქმე და საკმაოდ დიდი თანხის ანაზღაურება მოითხოვა უკ-

ბურთი კალათგეა

სსრ კავშირის ჩემპიონატი

12 საათ იგსტრეკვიუ

ე. ალექსეევი

(ცსკა)

● რას იტყვით ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური ტურნირზე?

— ვფიქრობ, გაგვიმარდება თასის მოგება. ეს ოცნება კიდევ უფრო განმტკიცა ამ გათამაშების ბოლო მატრეშა. მილანის „სიმენტალი", რომელიც გამარჯვების მთავარ ფავორიტად მიმაჩნია, 3 ამერიკელი კალათბურთელითაა გაძლიერებული. ერთ-ერთი მათგანი — ბოდლი — XVIII ოლიმპიური თამაშების გმირად აღიარეს. იცით, რა ძალას წარმოადგენს იგი! მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქოს ჩვენ ფარ-ხმალი დაეყარეთ. თასისთვის თავგამოდებით ვიბრძოლებთ.

● რით აიხსნება „რეალის" კრიზისი?

— „სიმენტალი" უდავოდ ძლიერია „რეალზე". ამიტომ იტალიელთა გამარჯვება ისევე ლოგიკურია, როგორც ესპანელთა მარცხი. ხმლში, თითქოს ამ მატჩში უშუალო მსაჯობა იყო, ჩემი აზრით, სინამდვილეს არ შეეფერება.

● როგორია ცსკა-ს მომავლის გეგმები?

— გუნდის გაძლიერებაზე (მხედველობაში მაქვს ზუმკოვის, ბოროდინისა და, შესაძლოა, ალიჩანიანის წასვლა). შუამდგომლობაში შეეყენებინ ისეთ პერსპექტიულ ახალგაზრდებს, რომლებიც ორ-სამ წელიწადში თავის სიტყვას იტყვიან.

● რომელი გუნდი მოგწონთ ყველაზე მეტად?

— „ურალმაში". მხედველობაში თუ არ მივიღებთ კანდელს, ეს კოლექტივი მთლიანად ახალგაზრდულია. გუნდი თამაშობს ჭკვიანად, განსაკუთრებით დაცვაში.

● სხვა გუნდის რომელ მოთამაშეს ისურვებდით თქვენს ხუთეულში?

— პაულაუსკასს.

ლაპარაკობენ მწვრთნელები

ი. ვლასოვი

(„დინამო", მოსკოვი)

● რატომ არ თამაშობს თბილისში საბჭოთა კალათბურთის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელი ა. პეტროვი?

— იგი დაშავებულია.

● რა კონკრეტული ამოცანების წინაშე დგას თქვენი გუნდი?

— ჩვენ III ლიგაში გადასვლის უსიამოვნო პერსპექტივის წინაშე ვართ. მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ გუნდის შემადგენლობაში არიან ახალგაზრდა და, რაც მთავარია, პერსპექტიული კალათბურთელები. სათანადო მეცადინეობის შემდეგ ისინი კიდევ გამოირჩევენ თავს საკავშირო ჩემპიონატებში.

● რომელი გუნდი მოგწონთ ყველაზე მეტად?

— ცსკა.

● სხვა გუნდის რომელ მოთამაშეს ისურვებდით თქვენს ხუთეულში?

— ვოლნოვს.

ბ. ბიმგა

(„ყალგირისი", კაუნასი)

● ვინ მიგაჩნიათ საბჭოთა კალათბურთის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედ?

— ვოლნოვი.

● რით აიხსნება მიმდინარე ჩემპიონატში თქვენი გუნდის წარმატება?

— ახალგაზრდობამ გამოცდილება მეიძინა. გუნდი თამაშობს კოლექტიურად, ეს კი საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია. დაცვაში გაამართლა პერსონალური და ზონური თამაშის შერწყმამ, რაც სპეციალურად ჩვენი გუნდისთვის გამოვიმუშავეთ.

● რომელი გუნდი მოგწონთ ყველაზე მეტად?

— ტარტუს „კალევი".

● სხვა გუნდის რომელ მოთამაშეს ისურვებდით თქვენს ხუთეულში?

— ვოლნოვს.



არის თუ არა?.. ფოტო ა. სააკოვისა.

გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში ჩემპიონატის IV კალენდარული დღე იყო. მოგვიყვეს ტექნიკური შედეგები: ასკ (რიგა) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 87:67 (36:29), ასკ (კიევი) — ასკ (ლენინგრადი) 60:46 (22:17), „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „ყალგირისი" (კაუნასი) 65:59 (36:27), ცსკა —, „კალევი" (ტარტუ) 60:58 (20:19, 54:54), „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი) 76:63 (29:31), „სტროიტელი" (კიევი) — ვეფ (რიგა) 59:54 (27:27).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 მარტისთვის

	თ.	მ.	წ.	ქ.
ცსკა	20	19	1	19
„სტროიტელი" კიევი	20	13	7	13
„ყალგირისი" კაუნასი	20	12	8	12
ვეფ რიგა	20	11	9	11
„სპარტაკი" ლენინგრადი	20	11	9	11
ასკ რიგა	20	11	9	11
ასკ კიევი	20	10	10	10
„კალევი" ტარტუ	20	9	11	9
„დინამო" თბილისი	20	8	12	8
„ურალმაში" სვერდლოვსკი	20	8	12	8
ასკ ლენინგრადი	20	4	16	4
„დინამო" მოსკოვი	20	4	16	4

ვეტერანს არ ეკადრება

შავი ზღვის სანაპიროზე ახლა გაცხარებული საფეხბურთო „სეზონია". აქ იყოფებიან „ა" კლასის ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივები, რომლებიც ერთმანეთში აწყობენ საკონტროლო შეხვედრებს. ერთ-ერთი ასეთი მატჩი გიმარნთა თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" შორის, რომელიც დამთავრდა ფრედ — 0:0.

მაგრამ მატჩის მიწურულში მოხდა ერთი უსიამოვნო ამბავი, რასაც გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" კორესპონდენტი გ. რადჩუკი ასე აღწერს:

„...მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ორივე გუნდის ფეხბურთელებმა შეწყვიტეს ბრძოლა და არნებით გაჩერდნენ. ამის მიზეზი დაღლილობა და დაქანცულობა არ იყო. ყველასათვის და, პირველ ყოვლისა, საკუთარი თავისთვის მოულოდნელად თბილისელმა ბარქაიამ, რომელმაც ვერ შეძლო წაერთმია ბურთი ქუთაისელი კუტივაძისთვის, ხელი გაარტყა მეტოქეს. ბარქაია დაუყოვნებლივ იქნა გაძევებული მინდვრიდან. თბილისელი ფეხბურთელის ადამშფოთებელი საქციელი არა თუ არ ეხამუშებოდა მთელი ორთბრძოლის სპორტულ ხასიათს, არამედ გარკვეული გავლენაც იქონია შეჯიბრების შემდგომ მსჯელობაზე. ფეხბურთელები ვალდებულნი იყვნენ ამ საქციელით. თამაში შეწყვიტა ყველამ. ბარქაიას საქციელი მით უფრო მოულოდნელი იყო, რომ მთელი მატჩი მან კორექტულად ჩაატარა. ისეთი ოსტატი, როგორიცაა ბარქაია, ვალდებულია კონტროლს უწევდეს თავის ნერვებს, ვალდებულია ჰასუხი აგოს თავის საქციელზე..."

კომენტარები. ვფიქრობთ, ზედმეტია.

ვ. ბარქაია გაკიცხვის ღირსია.

დიდერი იმაგრებს პოზიციებს

თბილისის მოთამაშეთა პირველობაში კიდევ ორი (VI. და VII.) ტური ჩატარდა. ასპარეზობაში ლიდერმა, ოსტატმა შარამიძემ თავის „მიუჯიტს" 2 ქულა შემატა: მოუგო ნ. ძამუშაშვილსა და პ. კუჭეროვს. ოსტატ ს. პაპლაჯიანს დაეწია ოსტატობის კანდიდატი ი. სპესივცევი, რომელმაც მოუგო გ. მაღალაშვილსა და გ. ციმბალისტს. თავად პაპლაჯიანმა დაამარცხა შ. თუმანიშვილი, ხოლო ყაიმს დასჯერდა ტურნირის ყველაზე უმცროს მონაწილესთან, 16 წლის ნ. ხარებოვთან. შეხვედრაში. 7 ტურის შემდეგ თ. შარამიძეს 6 ქულა აქვს, ს. პაპლაჯიანსა და ი. სპესივცევს — 5-5.

ჯ. სერგიაშვილი.

ДИДЕРИ ИМАГРЕБС ПОЗИЦИЕБС

თბილისის მოთამაშეთა პირველობაში კიდევ ორი (VI. და VII.) ტური ჩატარდა. ასპარეზობის ლიდერმა, ოსტატმა შარამიძემ თავის „მიუჯიტს" 2 ქულა შემატა: მოუგო ნ. ძამუშაშვილსა და პ. კუჭეროვს. ოსტატ ს. პაპლაჯიანს დაეწია ოსტატობის კანდიდატი ი. სპესივცევი, რომელმაც მოუგო გ. მაღალაშვილსა და გ. ციმბალისტს. თავად პაპლაჯიანმა დაამარცხა შ. თუმანიშვილი, ხოლო ყაიმს დასჯერდა ტურნირის ყველაზე უმცროს მონაწილესთან, 16 წლის ნ. ხარებოვთან. შეხვედრაში. 7 ტურის შემდეგ თ. შარამიძეს 6 ქულა აქვს, ს. პაპლაჯიანსა და ი. სპესივცევს — 5-5.

მოედანზე გამოვლენ ვეტერანები

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში 12 საათზე დაიწყება უწვეულო მატჩი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კალათბურთის ვეტერანები. თბილისის ყოფილ დინამოელთა წინააღმდეგ ითამაშებს სხვა გუნდების ვეტერანთაგან შედგენილი ნაკრები, რომელსაც პირობით სსრ კავშირის ვეტერანთა ნაკრები შეურქვეს.

კალათბურთის მოყვარულნი „დინამოს" შუამდგომლობაში იხილავენ ო. ჭორქიას, ნ. ჯორჯიკიას, ვ. ყდენტს, ლ. ინწკირველს, ა. კილაძეს, ჯ. გეგენცელაძეს, რ. გოგელიასა და სხვებს. სსრ კავშირის ვეტერანთა ნაკრებში გამოვლენ: კ. პეტკიავიჩუსი, ე. ალექსეევი, ი. კულამი, ა. ბოლელსკი, ი. ოზეროვი, მ. ვალდმანისი, ბ. ბიმბა და სხვ.

ვალერი ბრუმელის ახალი უბედურება

მოსკოვი, 23 მარტი (ტელეფონით, „ჩვენი ალმ.). გამოჩენილ საბჭოთა მძლეოსანს ვ. ბრუმელს, რომელიც შარშან ოქტომბერში მოტოციკლით მგზავრობისას მძიმედ დაშავდა, კვლავ უბედურება შეემთხვა: მან ახლახან ისევ მოიტეხა იგივე ფეხი. ეს უბედური შემთხვევა კიდევ უფრო დააშორებს სპორტსმენს მსოფლიო რეკორდის განახლებას, რომელიც მას დამყარებული აქვს 1963 წელს (228 სმ).

კლინიკაში გატარებულმა მრავალმა თვემ ვერ შეარყია ვ. ბრუმელის გადაწყვეტილება კვლავ დაბრუნებოდა სარბიელს და შარშან ნოემბერში მან საკადესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ იმედი აქვს განახლოს ვარჯიში. სპორტსმენი ზუსტად იცავდა ექიმის ყველა დანიშნულებას.

ვ. ბრუმელს მოუთმენლად სურდა დაეჭარბებინა თავისი განკურნების პროცესი. მას მოხსნეს თაბაშირი და მეაცრად დაარიგეს ზედმეტი დატვირთვა არ მიეყენებინა მტკივანი ფეხისთვის, სპორტსმენმა სცადა უყოყმანოდ ასულიყო კიბეზე, ვერ გაუძლო დაძაბულობას, დაკარგა წონასწორობა, დაეცა და კვლავ მოიტეხა ადრე დაშავებული ფეხი.

რეკორდსმენი სასწრაფოდ მიიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ექიმებმა გამოიტანეს ულმობელი დასკვნა: მარჯვენა წვივის ძვლის მოტეხილობა. ექიმმა ღუდუშაურმა დაუყოვნებლივ გააკეთა ოპერაცია, გასწორა ძვალი და დაამაგრა ოქროლითონის 4 სპეციალური ღეროთი. ახლა ბრუმელი კვლავ უნდა მოექცეს საწოლის უმოძრაო ტყვეობაში.

ძნელი სათქმელია, კვლავ დაუბრუნდება თუ არა „კოსმოსური მხტომელი" რეკორდების შტურმს. ექიმები ეშვებენ, რომ იგი სრულად აღიდგენს თავის ადრინდელ ძალას. თვით ვ. ბრუმელმა განაცხადა: „რაც მოხდა, ყველაფერი ჩემი ბრალია. მინდოდა რაც შეიძლება სწრაფად გამეახლებინა წვრთნა, და აი, შედეგი... კლინიკას ალბათ დავტოვებ იუნისში და დავისვენებ. რომელმე აგარაკზე. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს."

..ბრძოლა გრენობლთან"

ამ დღეებში პიერ რანდემ, მთავრობის მოხელემ, რომელსაც პასუხი უნდა ეგო 1968 წლის გრენობლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციაზე, სამაახურიდან გადადგომა გადაწყვიტა. ეს ცნობა რომ გამოაქვეყნა, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის ბიურომ რანდეს გადაწყვეტილების მიზეზიც დააასახელა: მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ახალგაზრდა მინისტრმა ახალგაზრდობისა და სპორტის განსჯით ფრანსუა მისოფმა ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციის მთელი პასუხისმგებლობა ითავა, რანდემ თავისი პოსტი „უბრალოდ, ნომინალურად" მიიჩნია.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

რატომ გახდა საჭირო მინისტრის ჩარევა?

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ, რანდეს რჩევით, თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ გრენობლის ყოფილი ბურგომისტრი ა. მიშალონი დანიშნეს. მიშალონი მტკიცულ დამოკიდებულებაში იყო ქალაქის ახლანდელ მერთან ჟ. დიუბედოსთან. ამის გამო, ქალაქის ხელისუფალთა და საორგანიზაციო კომიტეტის გაერთიანებულ სხდომებზე დროდადრო სერიოზულ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი. თავიდან მიშალონის მოშრეებმა უარყვეს კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურა, რომელიც დიუბედომ მესთავაზა. ამის საპასუხოდ დიუბედომ მოითხოვა, რომ გრენობლის საქალაქო საბჭოს ჰქონოდა გადამწყვეტი ხმა და ვეტოს უფლება ყველა საკითხში, რაც კი თამაშების დაფინანსებას შეეხებოდა.

მიშალონმა ეს მოთხოვნა გადაჭრით უარყო. გრენობლის ახლანდელმა მერმა კი. ბანაცხადა: ჩვენ არავითარ ურთიერთობას არ ვიქონიებთ ოლიმპიურ თამაშების საორგანიზაციო კომიტეტთანო. ერთი სიტყვით, საქმე იქამდე მივიდა, რომ სერიოზულად შეუშალა ხელი გრენობლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას.

ბოლოსდაბოლოს, საქმეში ჩაერიენ მინისტრი მისოფი და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი პომპიდუც კი. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ თამაშებისთვის მზადების საქმეს, რაზედაც საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე საფრანგეთის ავტორიტეტია დამოკიდებული, არავითარმა კინკლაობამ არ უნდა შეუშალოს ხელი. ამ მიზნით, ოლიმპიადის ორგანიზაციაზე პასუხისმგებლობა მთლიანად მინისტრ მისოფს დაეკისრა. „ამრიგად, — ასკვნის ფრანგული პრესა, — გრენობლთან ბრძოლაში მართალმა საქმემ გაიმარჯვა".

კვლავ რგოლა. კვლავ სიკვდილი

წუხარ, პალმებით დაფარულ ქალაქ სან-სალვადორში სისხლიანი ტრაგედია დატრიალდა. ყველაფერი „ლიბერალური ფულისა და შრომისათვის". ამ დღეებში შნელდორფერი სასამართლოს წინაშე წარსდგება.

მსოფლიოში

ბენთიგან საასპარეზოდ ძალიან ცოტა ჩამოვიდა, რბოლაში ახალბედებიც გამოვლენ. მათ საშუალება მიეცემათ საერთაშორისო სარბიელზე უმალვე გამოიჩინონ თავი და სახელიც მოიხვეჭონ".

მარიო პოლანკო სწორედ ის ახალგაზრდა ავტომობილისტი იყო, რომელსაც სახელის მოხვეჭა სჭირდებოდა. ადრე მას ბნელოდ რამდენიმე, შედარებით უმნიშვნელო პროფესიონალი ავტომობილისტების ტრადიციული შეჯიბრებების დროს მოხდა სანტა-ტელას რაიონში. დამახასიათებელია, რომ ჯერ კიდევ რბოლის დაწყებამდე გაზეთები წერდნენ: „იმის გამო, რომ მსოფლიოში გამოჩენილ სპორტსავტორბოლაში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა.

თავდაპირველად პოლანკო წინ გაიქცა, მაგრამ ნელ-ნელა სხვა სპორტსმენებმა გაუსწრეს. გაშმაგებულმა ავტომობილისტმა კიდევ უფრო უმატა სიჩქარეს. კატასტროფაც სწორედ მაშინ მოხდა.

ტრასის ციცაბო მოსახვევში პოლანკომ მანქანა ვერ დააკავა და გზის ნაპირზე ჩამწკრივებულ მაყურებლებში შეიჭრა. სანიტრებმა ექვსი მკვდარი და ათი დაშავებული მაყურებელი წაიყვანეს.

... ნამსხვრევებად ქცეული მანქანიდან ამოიყვანეს... მსუბუქად დაშავებული პოლანკო.

რატომ დამარცხდა ო. ფხაკაძე?

24 თებერვლიდან 13 მარტამდე გდრ-ში სტუმრად იყო საბჭოთა ველოსიპედისტების ჯგუფი, რომელსაც სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. ჯოხაძე ხელმძღვანელობდა. მთავარი შეჯიბრება, რომელშიც ჩვენმა ველოსიპედისტებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა, ჩატარდა ზამთრის ტრეკზე, ვ. ზეელენბინდერის სახელობის დარბაზში.

ტურნირის შემადგენლობა საკმაოდ ძლიერი იყო საკმარისია აღვნიშნოთ, რომ პირველობისთვის მებრძოლთა შორის გამოდიოდნენ ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები — ო. ფხაკაძე, ჯ. ტურინი და დ. მორელონი. ტრეკი, რომლის ტრიბუნები 4 ათას მაყურებელს იტევს, ყოველდამე სავსე იყო ველოსპორტის მოყვარულებით.

ბერლინში ყოფნის 17 დღის მანძილზე ფხაკაძემ შვიდ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა. პირველში მსოფლიო ჩემპიონმა მხოლოდ VI ადგილი დაიკავა. თავდაპირველად მან ორი სერია მოიგო (ჰოლანდიელ კ. კინპინჩთან და გერმანელ რ. მარქსთან), მაგრამ ჩეხოსლოვაკიელ მ. კრატინთან ბრძოლაში უსწორო პოზიცია აირჩია და წააგო. V—VIII ადგილისთვის გამართულ სერიაში ფინიშთან იგი II იყო (გერმანელი ი. გეშკეს შემდეგ). პირველი პრიზის — ტელევიზორის მფლობელი გახდა გერმანელი ჰ. ი. კლუნკერი, რომელმაც მსოფლიო პირველობაში მხოლოდ X ადგილი დაიკავა. ამ შეჯიბრებაში ფხაკაძის მარცხი მოულოდნელი არ იყო. საქმე ის არის, რომ საზამთრო წვრთნა მსოფლიო ჩემპიონმა ბაკურიანში გაიარა, ველოსიპედს კი მხოლოდ თებერვლის პირველ რიცხვებში მოაჯდა როდესაც ბერლინიდან მოწვევა მოვიდა, ფხაკაძე, ცხადია, არ იყო ჩვეულ ფორმაში. ასევე არ იყვნენ დიდი სტარტებისთვის მზად სხვებიც, მაგრამ ველოსპორტის საკავშირო ფედერაციამ ბერლინში გაგზავნა ჯგუფი (ფხაკაძესთან ერთად მასში შედიოდნენ მსოფლიო ჩემპიონი მ. კოლიუშევი, სსრ კავშირის ჩემპიონი ა. კოლიუშევი და სხვ.), რომელსაც უნდა „დაეზვერა“, თუ რას წარმოადგენდა ჩვენთვის უცნობი ზამთრის ტრეკი.

ფხაკაძე სხვებთან შედარებით უფრო ადრე აელო ალღო უჩვეულო პირობებს (ტრეკის სიგრძე 172 მ, ვირაჟთა დახრილობა 51 გრადუსი) და თანდათან ფორმაშიც შევიდა.

მომდევნო შეჯიბრებაში მსოფლიო ჩემპიონი III ადგილზე იყო (მორელონისა და ტურინის წინ), 2 დღის შემდეგ კი — მეორეზე. აღსანიშნავია, რომ ფხაკაძეს გაუსწრო მხოლოდ გერმანელმა კლუნკერმა, რომელიც მთელს ზამთარს ბერლინის დახურულ ტრეკზე ვარჯიშობდა.

5 მარტს ფხაკაძემ მოიგო ერთწრიანი რბოლა სვლით — 10,1 (კლუნკერის შედეგი იყო 10,2 ტურინისა — 10,5). იმავე დღეს მან ტრეკის რეკორდის გაუმჯობესება სცადა, მაგრამ ვერ განავითარა მაქსიმალური სიჩქარე და მხოლოდ რეკორდის გამეორებას დაჯერდა (10,0).

შეჯიბრების ბოლო დღეს ფხაკაძემ ერთხელ კიდევ შეუტია რეკორდს. და უნდა ითქვას, იგი აისრულებდა კიდეც საწადელს, საბურველს რომ არ ემტყუნა (დიდი სისწრაფის გამო იგი გასკდა). მართალია, მსოფლიო ჩემპიონმა რეკორდი ვერ მოხსნა, მაგრამ მსაჯებმა გამოიანგარიშეს, რომ მისი სისწრაფე 9,7 წამს უდრიდა, რაც 200 მეტრზე გადაანგარიშებით სეზონის საუკეთესო შედეგს იძლევა — 11,3.

მსოფლიო ჩემპიონისთვის ეს იყო მხოლოდ წინასასეზონო სტარტები. მთავარი შეჯიბრებები ფხაკაძეს წინა აქვს: სსრ კავშირ — საფრანგეთის სამატჩო შეხვედრა, ხანგრძლივი ტურნე ევროპის ქვეყნებში (გდრ, ჰოლანდია, საფრანგეთი, გფრ, ჩეხოსლოვაკია) და, ბოლოს, მსოფლიო პირველობა, რომელიც 27 აგვისტოს გფრ-ში დაიწყება.

გ. ბარამია,
საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის თავმჯდომარე.

ომარ ფხაკაძე გდრ-ში. მარცხნივ — „მწვანე გზა“ — მსოფლიო ჩემპიონს! მარჯვნივ — ო. ფხაკაძე და მისი მწვრთნელი გ. ჯოხაძე ესაუბრებიან ველოსპორტის გამოჩენილ იტალიელ სპეციალისტს გ. კოსტას (მარჯვნიდან პირველი).

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასებზე

კალათბურთი. მესამე ნახევარფინალური ტურის საპასუხო მატჩში პრაღის „სლავიის“ ვაჟთა გუნდმა თავის მოედანზე მიიღო **ანტვერპენის „რესინგი“**. მასპინძლებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 94:76 (50:42). ამ გამარჯვების წყალობით პრაღელებმა 5 ქულით გაუსწრეს ბელგიელებს და ტურნირის ფინალში გავიდნენ, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან **ცსკა — „სიმენტალი“ (მილანი)** და **„სლავია“ — აეკ (ათენი)**. ამ წყვილებში გამარჯვებულნი გაითამაშებენ თასს.

ფრენბურთი. ბუქარესტის „რაპიდის“ ვაჟთა გუნდი **ზაგრებში** შეხვდა ადგილობრივ **„მლადოსტს“**. ეს იყო რუმინელთა საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი. თამაში მოიგო „რაპიდმა“ — 3:1 (8:15, 15:5, 15:10, 15:9). იგი გავიდა ნახევარფინალში, ვინაიდან მან შინაც დაამარცხა იუგოსლაველები.

საფრანგეთი — იტალია 0:0

საფრანგეთისა და იტალიის ფეხბურთელები, როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში არიან გასული. აშდენად, მათი ამასწინანდელი საწვრთნელი შეხვედრა, რომელიც პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე შედგა, საყოველთაო ინტერესს იწვევდა.

მოწინააღმდეგეებმა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს მატჩი: საფრანგეთი — ობერი, ბოსკიე, არტელეზა, ბუზინსკი, შორდა, ერბენი, ჰერი, ბარაფი, გონდე, სიმონი, ოსერი; იტალია — ალბერტოზი (ნეგრი), ბურგნიჩი, ფაკეტი, როსატო, სალვადორე, პიროვანო (ლოდეტი), დომენგინი (მერონი), რივერა, მაცოლა, კორსო, რივა.

პრესა აღნიშნავს, რომ მატჩს ჰქონდა საექსპერიმენტო ხასიათი, ვინაიდან მწვრთნელებმა გამოსცადეს რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე. ორივე გუნდის დაცვა თავდასხმაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა და ფორვარდებმა, საერთოდ, პასიურად ჩაატარეს შეხვედრა.

უპირატესობა ძირითადად იტალიელთა მხარეს იყო, მაგრამ მატჩის დასასრულს მასპინძლებმა შეძლეს რამდენიმე მეტად მწვავე კონტრიერიშის განხორციელება. საბოლოოდ, მეტოქეები „მშვიდობიანად“ გასცილდნენ ერთმანეთს — 0 : 0.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ხვალ

საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია „ბურევესტნიკის“ V რესპუბლიკური კონფერენცია.

დასაწყისი 11 საათზე.

ე. ერერას აზრით

ფეხბურთი

ე. ერერამ მილანში გამართულ პრესკონფერენციაზე ილაპარაკა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალზე.

მისი აზრით, იტალიელებს პირველი ადგილისთვის ბრძოლის კარგი შესაძლებლობები აქვთ. უპირველეს ყოვლისა, მათ შეუძლიათ ქულის დაუკარგავად გავიდნენ მეოთხედფინალში, ვინაიდან კარგად იცნობენ სსრ კავშირისა და ჩილის გუნდებს. რაც შეეხება კორეელებთან მათ შეხვედრას, ეს არ უნდა იყოს რიგით „სპარინგ-მატჩზე“ უფრო ძნელი. იტალიელებთან ერთად მეოთხედფინალში გავლენ საბჭოთა ფეხბურთელები, ვინაიდან ჩილის ნაკრები, მაშინ, როცა თავის მინდორზე არ თამაშობს, მხოლოდ საშუალო კლასის გუნდად უნდა მივიჩნიოთ.

▲ **რომი.** ქვემძიმე წონის იტალიელმა პროფესიონალმა მოკრივემ პიერო დელ პაპამ თანამემამულე გ. რინალდისთან აქ გამართულ 15-რაუნდიან მატჩში დაიცვა ევროპის ჩემპიონის ტიტული.

▲ **მელბურნი.** 100 იარდზე რბენაში ქვეყნის ჩემპიონმა ჰ. ჰოლდსვორთმა აჩვენა შესანიშნავი შედეგი — 9,3 (100 მეტრზე უდრის 10,1 წამს).

▲ **მიუნხენი.** ოლიმპიურმა და მსოფლიო ჩემპიონმა ორჭიდში გ. ტომამ (გფრ) ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი თავს ანებებს აქტიურ სპორტს, რათა უფრო ნაყოფიერად ემსახუროს ახალგაზრდების აღზრდას.

თბილისი
სპორტულ ვაზაზე

კალათბურთი. სპორტის სასახლე. **24-25 მარტი. სსრ კავშირის ვაჟთა გუნდების პირველობის დასკვნითი ტური.** დღეს ერთმანეთს ხვდებიან: 13 ს. „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი), 14 ს. 30 წ. ასკ (რიგა) — ასკ (კიევი), 16 ს. „დინამო“ (მოსკოვი) — „კალევი“ (ტარტუ), 17 ს. 30 წ. ვეფ (რიგა) — „ჟალგირისი“ (კაუნასი), 19 ს. ასკ (ლენინგრადი) — „დინამო“ (თბილისი), 20 ს. 30 წ. ცსკა — „სტროიტელი“ (კიევი). ხვალ: 12 ს. „ურალმაში“ — ვეფ, 13 ს. 30 წ. „კალევი“ — ასკ (ლენინგრადი), 15 ს. ასკ (კიევი) — „სპარტაკი“, 16 ს. 30 წ. „სტროიტელი“ — „დინამო“ (მოსკოვი), 18 ს. „ჟალგირისი“ — ცსკა, 19 ს. 30 წ. „დინამო“ (თბილისი) — ასკ (რიგა).

ფეხბურთი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. **24 მარტი.** შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშება. 15 ს. „ენგური“ (ზუგდიდი) — „დინამო“ (სოხუმი), 17 ს. „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ალაზანი“ (გურჯაანი).

ჭადრაკი. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბი (ლენინის ქ. № 14). **24 მარტი-11 აპრილი. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. დღეს — VII ტური, ხვალ — VIII.** დასაწყისი 17 ს.

ტყვიით სროლა. ავჭალის სასროლეთი. **24-27 მარტი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა.** დასაწყისი 10 ს.

შაში. სპორტკლუბ „სიმთლის“ საჭადრაკო-საშაშო კლუბი (ტელმანის ქ. № 8). **24 მარტი-2 აპრილი. თბილისის პირადი პირველობა.** დასაწყისი 18 ს.

კლასიკური ჭიდაობა. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). **24-26 მარტი. თბილისის პირადი პირველობა ახალბედათა შორის.** დასაწყისი 18 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, სამდივნო—3-95-30, სპორტული განყოფილება — 3-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04893